

# თავის უფალი საქართველო

13 IX 1991 ფასი 50 კაპ. № 34 (39)

მრავალი ვაჟიძის  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
№ 34 (39)

თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია შეთანხმდა იმაში, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენში არსებული პარტიები მარად და მარად ინარჩუნებენ თავის მომხიბლავ პოლიტიკურ სპეციფიკას — განუმეორებელი უშუალოებით უკვე მერამდენედ უგულვებელყოფენ პოლიტიკურ რეალობას.

ქართულმა ორიგინალურმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, წამოაყენა და ცდილობს ცხოვრებაში გაატაროს ხარისხის პოლიტიკური კონცეფცია.

ამ ახალი კონცეფციის თანახმად მხოლოდ ერთი რამ უნდა განისაზღვროს — მოსახლეობის 87 პროცენტს უფრო მეტად უნდა პრეზიდენტი, თუ 13 პროცენტს უფრო მეტად არ უნდა იგივე პრეზიდენტი. ჩვენს უშუალოებით სავსე პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ მათი არნდომის ხარისხი გაცილებით აღემატება ჩვენი ნდომის ხარისხს. მაგრამ მოგვიწევს მათი საუკეთესო იმედების გაცრუება — კიდევ რომ ასრულდეს თქვენი ოცნება და გადადგეს პრეზიდენტი, ვერანაირი ხარისხის საზომით ვეღარ დაადგენთ, კონკრეტულად რომელი პარტიის ლიდერს უფრო მეტად უნდა პრეზიდენტობა და უფრო მეტად არ უნდა სხვამ დაიკავოს ეს ადგილი. თქვენს ახალ პოლიტიკურ კონცეფციას ჩიხში მიპყავხართ, ბატონებო, ვერასოდეს ერთ ადგილს ვერ გაინაწილებთ! ასეთია, სამწუხაროდ, დღევანდელი პოლიტიკური რეალობა.

ექსპერიმენტების დრო რომ იყოს, ჩვენ უკეთეს პოლიტიკურ მეთოდს შევთავაზებდით საზოგადოებას — რიგრიგობით ავირჩევდით პრეზიდენტად. ერთის არჩევის შემდეგ ყველა გაერთიანდებოდა და დაჰყავდა არჩეულს. მერე მეორეს ავირჩევდით, მერე მესამეს, მერე მეოთხეს... (სულ რამდენი ხართ?)... და საბოლოოდ რომ მოინელებ-მოილეგდით ერთმანეთს, მობრძანდებოდა ბატონი ზვიად გამსახურდია და მშვიდობიანად, უშფოთველად მართავდა თავის ქვეყანას.





# ჩვენთანა ბედნიერი...

მს რამდენიმე დღეა, ჩვენი ცხოვრება ორად არის გახლეჩილი. არავინ არის გულგრილი იმ მოვლენების მიმართ, რომელიც ქალაქში ხდება. ებრაზობთ, განვიცდით, ვხედავთ, ბრალს ვდებთ, ვამართლებთ, უკვირთ, განვიკითხავთ... ჩვენ იოლად არაფერი მიგვიღია. ახლაც ვაგვირთუღდა გზა. დამოუკიდებლობა, რომელიც ასე ახლოს ჩანდა, ისევ სათუთო გახდა, ყოველ შემთხვევაში დროის ახლო მომავალში. სამწუხაროდ, გარეთ ვერავის დავაბრალებთ ამ ვართულებას. როგორც ყოველთვის, ისევე ჩვენი ხელით მოვიწყობთ ჩვენივე უსამართლობა. აქ შეიძლება კონკრეტული დანაშაულებები გვეჩვენოს და მათთვის დაგვებრალებინა ყველაფერი, მაგრამ გონიერი ადამიანის უპირატესობა უფრო მეტს სწორედ იმაშია, რომ განსაცდელის ქვეშ გონიერი ადამიანი თავის თავში ეძებს მიზეზს თავისი უბედობლისა, რადგან მხოლოდ გონიერია პასუხისმგებელი იმაზე, რაც მის გარშემო ხდება, რამეთუ მეტის შეძლებული არის. 200 წლის მანძილზე ნიაცხეზარო თავისუფლების დაკარგვის გონიერების უფრო მეტყოფილია, ვიდრე უზურისთვის. გონიერო პასუხის ვაცება მოუწიებთ საკუთარი სინდისისა და ისტორიის წინაშე, იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ რაღაც პერიოდში სათუთო დადგას, რაც ასე რეალური ჩანდა სულ ცოტა ხნის წინ.

არის კი საქართველოში დღეს ისეთი ადამიანი, რომელიც პირად დანაშაულს ან პასუხისმგებლობას ხედავს იმაში, რაც დღეს ხდება? სამწუხაროდ, არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ეს არ გამოჩნდა 7 სექტემბრის შეხვედრაზე პრეზიდენტისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის. ჩვენ ყველამ ვიცით (როგორც სირთულეებიც არ უნდა გვქონდეს ზუსტი დედინიციის ძიებისას), რომ ინტელიგენცია არის საზოგადოების გამორჩეული, პრივილეგირებული ფენა, რამ შეიძლება განმარტოს ადამიანი? — ალბრდამ, განათლებამ, კეთილშობილებამ. რაში შეიძლება მდგომარეობდეს კარგად აღზრდილი, განათლებული, კვიციანი, კეთილშობილი ადამიანის პრივილეგია გაუნათლებელ, მდაბიო, ნაკლებად განვითარებულ ადამიანზე? კვიციანმა უკეთ უნდა ჰქონდეს უკეთ იცხოვროს? უკეთ იყოს? უკეთ დი-

სვენოს? ალბათ არა. უკეთესმა უკეთესი ცხოვრების გზა უნდა აირჩიოს. უკეთესმა იმის მაგივრად უნდა აგოს პასუხი, ვინც მასზე უარესია, იმიტომ, რომ უკეთ შეუძლია ავისა და კარგის გარჩევა. ამიტომ იღველება ის პრივილეგირებული ადამიანი და არა იმიტომ, რომ ჩაის სმა იცის უზმალური ან ქულის მორგება შეუძლია უფრო კომპიად. სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი ვითარება სწორედ იმითაა მიძიმე, რომ ინტელიგენციის უპირატესობად სწორედ კარგი ცხოვრება და ჩაის უზმალური სმა დარჩა, რაც მხოლოდ დანაშაუტ, თანშობილი უნდა იყოს იმ ძირითადი თვისებისა — პასუხისმგებლობისა, რომელიც — აღრევე გვექნება საუბარო, ჩამოგვშორდა მთავარი და განვითარებულ მეორეხარისხოვანი, თანაც ეს მეორეხარისხოვანი თითქმის კულტის ხელშეუხებლობამდე ავიყვანეთ. გულწრფელად ვფიქრობთ ზოლოში, ხალხს იმიტომ ვაღიზიანებთ, რომ მასზე უკეთესი ვართ. ერთვლ არ მოგვივა აზრად, ხალხი იმიტომ აღიზიანდება, რომ ჩვენში ვერ ხედავს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც უნდა გვექნოდეს მის წინაშე. დიდიან ერთვნილი მოძრაობის დაწყებისა ხალხს ითხოვს ინტელიგენციისგან კონკრეტულ პოზიციას, თანადგომას, მხარდაჭერას. ნაცვლად ამისა იღებს გაურკვეველ, ვრცელ, უადგილო მონოლოგებს დიპლომატიის, კჰუის, პროფესიონალიზმის, გონიერების, „გაცლა სჯობის“ შესახებ. კონკრეტულ შემთხვევებში ინტელიგენცია, ცხადია, მართალია. პროფესიონალიზმი კარგია. მაგრამ რით უშლის ხელს ერთი მეორეს? სად პროფესიონალიზმი და სად თავისუფლება? ეს ცნებები რომ არ ეხაცვლება ერთმანეთს. მოდი, თან განვთავისუფლებთ და თანაც იმაზე ვიფიქროთ, რომ პროფესიონალიზმი შევიძინოთ აი, რას ელოდა ზალბი ინტელიგენციისგან. ვერ მიიღო ეს პასუხი. თვითონვე შეუდგა თავისუფლების გზას. ერთი კი კარგად დაიხსომა — ამით არ შეიძლება კჰუა კითხო, მივიღებ-მოვიგობებავინ. იმ დღიდან, რაც ერთვნილი-შათავისუფლებული მოძრაობა მომძლავრდა, ინტელიგენციის სახეები

გაქრა ტელევიზორებიდან. აღარავინ გვმოძღვრავს, აღარავინ გვახსენებს, რომ ცოდნა სჯობია უცოდინარობას, პროფესიონალიზმი კარგია, გამოგადგება... ეს კი არა, აღმოჩნდა, რომ თვითონაც აღარ ენადლევათ ეს ყველაფერი. ერთი ადამიანი არ გამოჩნდა ჩვენს რჩეულთა შორის, რომ იქ 70-წლიანი კომპარტიანი ერთი ოცნება მიანიც გამოეცნა. გავიხსენოთ, მიიღო თუ არა პირველად საქართველომ დამოუკიდებლობა, ნამდვილი აღმშენებლობითი მოძრაობა გამოიშალა — ყველამ იმ საქმეს მოკიდა ხელი, რაზეც მონობის დროს ოცნებობდა: ვილაცამ ოპერა დაწერა, ვილაცამ უნივერსიტეტი დააარსა, ვილაცამ ახალი ქუროხალი, ვილაცამ ეკლესია მოხატა... ახლა რა ხდება? კაცს უნივერსიტეტი რექტორობაზე ვერ იყოლიებენ. პასუხისმგებლობას ერიდება ინტელიგენცია. გვერდიდან დგას და უყურებს, როგორ ეწყობება მისი ქვეყანა და დროდადრო შეუძახებს ხოლმე, რასა ჰგეგვარა!

მაგრამ ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა, ეს არ არის სწორი, რომ ერთი ერთი ნაწილი ერთ მხარეს იყოს და მეორე მეორე მხარეს. კარგი, ხალხს არ ყოფნის ამდენი კჰუა მიხედის, რომ ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს. ორივე მხარეს ერთი ქვეყანა გვერგა და გვიან, არ გვიანა ჩვენი ასაშენებელია, ინტელიგენცია რაღას უყურებს, ცოტა საქმე ჩვენს ქვეყანაში? ყველამ რომ თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე და თავისი წილი ქვეყანა გაასწოროს, ზომ გაიღებოთ ადრე გავალთ სამშეიდობის?

ნუთუ არავის ეჩვენება, რომ მომავლურებელია ამდენი ლანძღვა, ამდენი უმეყოფილება, ამდენი დვარძლი, აღარ დადგა დრო კონკრეტული საქმე ვაკეთოთ, ის საქმე რომლისკენაც ასე მგზნებარედ მოგვიწოდებდით 2-3 წლის უკან? ეს და მრავალი სხვა მტკივნეული საკითხი უნდა განხილულიყო შეხვედრაზე მთავრობის სასახლეში პრეზიდენტსა და ინტელიგენციის შორის.

დაძაბული ვითარებაა, მთელი მსოფლიო გაკვირებული უყურებს ქართველებს, ასეთი გააფ-

რებით რომ ესმიან ერთმანეთს და აოცებს, ალბათ, ნუთუ მტერი სხვაგან ვერსად იბოვოსო. რუსეთიც, ახალი, კარგი, დემოკრატიული რუსეთიც, გარდაქმნილი რუსეთიც ხელს იფშენებს სიამოვნებით, ამით ჩემი ტანკი რაღაში სჭირდება, თვითონ დაქამენ ერთმანეთს და ყოველდღე ახალ-ახალ ქართველს გვაჩვენებს, რომელიც არაჩვეულებრივი მონღოლებითა და სერიოზულობით უთხრის ძირს თავის ქვეყანას! როგორ არ გავახსენებოთ ილიას „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერთი“?

ასეთ საბარაკო ვითარებაში ეწყობა შეხვედრა, რომელზეც ზემოთ მქონდა ლაპარაკი და, სამწუხაროდ, ისიც ისევე მოაგრდება, როგორც ყველა სხვა შეხვედრა. იშვიათი განმანათლებელია, არავის აქვს სერიოზული სალაპარაკო, ყველა ისე თავისკენ ქაჩავს, იმას პრეზიდენტისგან სწყევნია რაღაც, ამას სდევნიან, ვილაცამ ალაშფოთებს, რომ ერთ-ერთი გამომსვლელი თითო ქვეყნის ელაპარაკება აუდიტორიას, ვილაცამ დანახავს არ სიამოვნებთ და სიტყვას არ ათქმევინებენ... და ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ, გაუთავებლად ლაპარაკობენ ყველაფერზე გარდა ერთისა — ჩვენ ყველანი ვართ დანაშაულები იმაში, რაც დღეს ხდება, და თუ ამას ვერ გავაგონებებთ, ვერასოდეს გამოვალთ ამ მიძიმე მდგომარეობიდან. ვერავის დავაბრალებთ ჩვენს უბედობას.

მაგრამ აქ ვამბობდით, რომ ამის შეგნება მხოლოდ გონიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. უფლებური კი გარეთ ეძებს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო საიმპუნსი ჩვენი პრეზიდენტი წარმოადგენს. ის ინტელიგენცია, რომელიც შეხვედრაში მონაწილეობდა, უმრავლეს შემთხვევაში შეთანხმებული ერთმანეთში, რომ ყველაფერი ზვიად გამსახურდიას ბრალია. ეს ბრალდება იმდენად დაუფარავალი, შეუღამაზებლად ელერს, რომ არავის უნდადეს პროტესტის გრძობა, როცა პრეზიდენტი ამბობს „რა გინდათ, დამაცადეთ ცოტა ხანს, გავიყვან ამ უბედურ საქართველოს და გავანებებთ თავს... სერიოზოდ აღარ გავეკარებთ არაფერს“...

ამ სიტყვიდანაჩ ჩანს, რომ პრეზიდენტს პრივილეგიულად განსხვავებული დამოკიდებულება აქვს საქმის მიმართ — რაც გასაკეთებელია, მისი გასაკეთებელია, და როგორც ბრალდებაც, წყევაც და პროტესტიც არ უნდა ისმოდეს მის მიმართ, საქმე უცილობლად ბოლომდე მისაყვანი, აქედან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

რამდენი კონკრეტული შეცდომაა არ უნდა დავშვას პრეზიდენტმა, რამდენი პრეტენზია არ უნდა იყოს მის მიმართ, როგორც არ უნდა გაუჭირდეს ამ მიძიმე გზაზე, გაიმარჯვებს თუ დამარცხდება — არსებითად ის ყოველთვის მართალი იქნება, ყველაზე მართალი, იმიტომ რომ, ჩვენგან განსხვავებით, ეს არის ადამიანი, რომლის ცხოვრებაში განმარტობები ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს ინტერესი. ყველაფერი — ყველა ფიქრი, აზრი, უნარი, რწმენა, მოქმედება, მეგობრობა, სიყვარული, მისწრაფება, ოცნება — ყოველთვის თავისი ქვეყნის ინტერესს ექვემდებარებოდა. დანარჩენი თანშობლები იყო ამისა, განათლებაც, პროფესიაც, ცოდნაც... და შეცდომა.

ასეთი ადამიანი ჩვენ ორი გვყავდა ბოლო 50 წლის მანძილზე — მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. ამიტომ არის, რომ მათ დღეს საქართველოში არც სერიოზული კონკურენტი ვაყო, არც სერიოზული ოპონენტი.

საზოგადოების ბრალდებები პრეზიდენტის მიმართ, მხოლოდ მაშინ გაიფიქრეს დასაბუთებულად, როცა ჩვენ დავინახავთ, რომ ამ საზოგადოების ცხოვრებაში ეროვნული ინტერესი გახდა განმარტობებული და არა პირადი კეთილყოფა.

ხოლო კულტურაში იმაზე ლაპარაკი, რომ ზვიად გამსახურდიას მთელი ცხოვრება პრეზიდენტობა უნდოდა და სხვა არაფერი, სხვის გულში უსიამოვნო ჩხრეკას გავს, არავინ არ იცის და არ შეიძლება იკადეს, ვინ რაზე ოცნებობს. მაგრამ ასეც რომ იყოს, ესეც პრეზიდენტის უპირატესობაზე მეტყველებს — მისასალმებელია, რომ ჩვენი თანამედროვე თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტობაზე ოცნებობდა და არა ცუდას მდგინებდა. ღმერთმა აგარიდოთ შეცდომები, პრეზიდენტი.

თამარ ეზრაელიძე.

# მე პაინს დანგრევის მომხრე ვარ...

გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ დავლან სიციხტან. იგი ვახლავთ ამერიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „მეორე ფუნდემენტის“ წარმომადგენელი

— როგორია თქვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის, მასში შეძველად რესპუბლიკებისა და კერძოდ საქართველოს მიმართ?

— ჩვენი შესწავლისა და დაკვირვების საგანს შეადგენს საბჭოთა კავშირის ყველა ევროპული რესპუბლიკა საქართველოსა და სომხეთის ჩათვლით. ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირი ყველაზე საშიში ძალაა მსოფლიოში და უკლებლივ ყველასთვის (როგორც ევროპისა და ამერიკისთვის, ასევე თვით კავშირში მცხოვრები ხალხებისთვის) ყველაზე საუკეთესო გამოსავალი საბჭოთა კავშირის დაშლა წარმოადგენს. ნგრევის პროცესი ახლა ძალიან სწრაფად მიმდინარეობს და ცხადია, რომ დამლა გარდაუვალია. იმპერიამ უკვე დაკარგა აღმოსავლეთ ევროპა, ავღანეთი და სხვა.

საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხები ცდილობენ თვითონ მოაგვარონ თავიანთი ცხოვრება. ისეთ რესპუბლიკებში, როგორც ოცტევა და საქართველო უკვე არსებობს დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლება, რომელიც ცდილობს თავისი ქვეყნების დამოუკიდებლობა მოიპოვოს. მოსკოვს არ შესწევს ძალა შეაჩეროს ეს პროცესები, რადგან სულ უფრო მზარდი პრობლემების წინაშე დგება, ეკონომიკა პარალიზებულია, პოლიტიკური სისტემა მოშლილი, კრიზისული დღეები დაიწყო.

— დი. უნდა კითხვით, რომ ეს

პროცესები მშვიდობიანად განვითარდება და საბჭოთა კავშირი შეტყვევდება ლმტვიგნულად შეწყვეტს არსებობას. ხოლო რესპუბლიკები, რუსეთის ჩათვლით, ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსით მოგვევლინებიან. მაგრამ ეს მიანიც ძალიან რთული პროცესია. დასავლეთს ეშინია, რომ აქ უმართავი სიტუაცია წარმოიქმნება. ყველა დინტერესებულია, რომ ამ ძვრებმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს: ვერევერებით, სამწუხაროდ, არ ჩანს იმის პერსპექტივა, რომ დასავლეთი სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს რესპუბლიკების დასახმარებლად. მაგრამ იმედი მაქვს, რომ სულ მალე გადაილაშქვას ეს წინააღმდეგობა. სხვანაირად ისეთ პატარა რესპუბლიკას, როგორც საქართველო, გაუჭირდება დემოკრატიული ბრძოლა თავისუფლებისთვის. ასეთ შემთხვევაში კავშირს ტანკების მეტი აღარაფერი დარჩება, რომ დაამარცხოს დემოკრატიული არჩეული ხელისუფლება. ამას კი უარესი დესტაბილიზაცია მოჰყვება. იგვე განმეორებდით, რაც იუგოსლავიაში მოხდა, როცა სლოვენია და ხორვატია კავშირიდან გასვლა მოინდომეს. მათ საწინააღმდეგოდ გავხანინდმა შეიარაღებულმა ძალებმა ასევე უფრო მეტად დაძაბა სიტუაცია.

— რა შეუძლია საქართველომ გააკეთოს იმისათვის, რომ დახვდეს

თი დინტერესებს ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში?

— საქართველომ უნდა აკეთოს ის, რასაც ახლა აკეთებს. გააგრძელოს თავისი გზა დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ჩანს, რომ მთელი საქართველო ესწრაფვის თავისუფლებას. მაგრამ იმდენი პოლიტიკური უთანხმოება ქვეყნის შიგნით, რომ ეს ართულებს თქვენს ბრძოლას. კარგი იქნებოდა, რომ ქართველებს არ ავიწყდებოდათ თავისი მთავარი მტერი და უფრო შეკრულები იყვნენ. ახლა არ არის შიდა უთანხმოებები დრო. ეკონომიკური რეფორმები უნდა გაატაროთ. საქართველოს ბრწყინვალე ეკონომიკური მომავალი ელოდება. თუ სწორ ნაბიჯებს გადადგამს. არ უნდა დაელოდოთ დამოუკიდებლობას. ახლავე უნდა დაიწყეთ მოქმედება.

— რა აუცილებელი ნაბიჯებია გადასადგმელი?

— საბაზრო ეკონომიკის შემოღება, რაც შეიძლება სწრაფად და ინტენსიურად, თუ რასაკვირველია, მოსკოვი მოგცემთ ამის საშუალებას. პრივატიზაცია და გლენსისთვის მიწის გადაცემა. უცხოური ინვესტიციების დაშვება. ისეთი სისტემის დამკვიდრება. საღაც მდგრადი კანონები მოქმედებს და მათი შესრულება გარანტირებულია.

— როგორია თქვენი პროგნოზი საქართველოს პოლიტიკური მომავლის შესახებ და რას ფიქრობთ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე?

— ყველა ქართველს, ვისაც ვე-

ბოლოს როცა შედგება სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელისმოწერა, მოსკოვი იძულებული გახდება გაუშვას რესპუბლიკა, რომელიც უარს ამბობს ახალ კავშირში შესვლაზე. ძალიან მინდა, რომ ეს რწმენა გამართლდეს. მაგრამ მეშინია, რომ რაღაც ახალ წინააღმდეგობას მოიგონებენ. სანამ საბჭოთა კავშირი არსებობს, არსებობს იმის საშიშროება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას წინააღმდეგობა შეხვდება. ქართველი რომ ვიყო, არ მინდებოდა ხელშეკრულება განმარტობის სახელით. მე მიანიც საბჭოთა კავშირის საბოლოო დანგრევის მომხრე ვარ და არა მისი განხლებისა.

(ინტერვიუ აღებულია ზაფხულში. ტექნიკური მიზეზების გამო ვუშვებთ დავჯანებით).

**განსვრება**

რედაქციის მხრიდან დახანანი დაუდევრობის გამო წინა ნომერში წერილი „კვლავ უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ“ გამოქვეყნდა ავტორის გვარის მითითების გარეშე.

წერილის ავტორია ბატონი **ლევან ურუშაძე**.

---

**გაყოფიერი ყოველკვირული გაზეთი**

**„თავისუფალი საქართველო“**

ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.  
3 თვით—6 მან. 45 კაპ.  
6 თვით—12 მან. 90 კაპ.  
12 თვით—25 მან. 80 კაპ.